გილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო!

ხაშურის მოამბე

№6 (288) 8 მარტი, ორშაბათი, 2021 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2 მარტს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე.

სხდომაზე, პირველ საკითხად, საკრებულოს წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს სურამში, 26 მაისის ქუჩაზე, დასასვენებელი კომპლექსის განაშენიანების კომპლექსური გეგმა(აღნიშნული კომპლექსის შესახებ სრული ინფორმაციას მკითხველი იხილავს გაზეთის მომდევნო ნომერში).

აუცილებლობიდან გამომდინარე, სხდომაზე, დეპუტატებმა ცვლილება შეიტანეს საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №24 დადგენილებაში "დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ".

ამის შემდეგ, სხდომაზე, დეპუტატებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ და მიიღეს შეთანხმება.

იმავე სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომის დასასრულს, საკრებულომ მოისმინა ა(ა) იპ "ხაშურსერვისის" მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად.

(აღნიშნული ანგარიში იხ. II გვ)

სიცოცხლითა და სიყვარულით სავსენი ყოფილიყავით

ძნელად მოიძებნება ქვეყანა მსოფლიოში, სადაც იმხელა პასუხისმგებლობა ჰქონდეს ქალს თავის თავზე აღებული, რამდენიც ქართველ დედას. ეს განსაკუთრებული მისია საუკუნეებით განმტკიცდა და გაიზარდა. მეუღლის ომებში წასვლის შემდეგ, ის ხშირად რჩებოდა ოჯახის წინამძღვრად, შვილების აღმზრდელად, რელიგიის და ტრადიციების დამცველად. მიუხედავად საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარსულში არსებული ქალის პასიურობისა, საქართველოს ისტორიაში ცნობილია ბევრი ბრწყინვალე ლიდერი ქალი, ჩვენ გვყავდა ისტორიული გმირი თამარ მეფე, რომლის მეფობის პერიოდიც ისტორიკოსების მიერ ოქროს ხანად ფასდება.

სწორედ ქალს მიანიჭა განგებამ პრივილეგია, რომ იყოს დედა, სიცოცხლის წყარო, სიცოცხლის, რომელიც მის გვერდით საუკუნოდ გვეჩვენება. დედაა ჩვენი დიდი ტკივილისა და დიდი სიხარულის გამზიარებელი, ამიტომ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: დედა უბრალოდ ადამიანია თუ ანგელოზი? სწორედ დედამ მასწავლა, რომ მადლიერი უნდა ვიყო თუნდაც ერთი იმედიანი სიტყვისთვის, ერთი თბილი გმოხედვისა და გულწრფელი შექებისათვის. როგორც ვაჟა ფშაველა წერდა, „დედაკაცს უნდა ესმოდეს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს".

ძვირფასო ქალბატონებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ 8 მარტს, მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თავდაუზოგავი შრომისათვის, გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატება როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსენი ყოფილიყავით!

ზაალ დუგლაძე, საქართველოს პარლამენტის
მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო ქალბატონებო!

დედებო, ბებიებო, მეუღლეებო, მეგობრებო! უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებით მინდა, მოგილოცოთ გაზაფხულის ულამაზესი დღესასწაული, ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი.

მინდა, პირველ რიგში, გისურვოთ ჯანმრთელობა. სულიერი სიმხნევე, ოჯახის სიძლიერე, არ მოგვიშალოს უფალმა თქვენი გვერდში დგომა და ის გამორჩეული გენეტიკური კოდი, რომლითაც ყოველთვის ვაოცებდით მსოფლიოს და ამაყი იყო და ვართ ქართველი ერი.

იხარეთ, იბედნიერეთ და გვამრავლეთ ერთიან და მშვიდობიან საქართველოში!

მიხეილ ჯანაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს!

ეს დღესასწაული ეკუთვნის ყველას, ვისთვისაც ღირებულია თანასწორობის და თავისუფლების იდეა.

ქართულ საზოგადოებაში ქალს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ტრადიცია დღესაც გრძელდება და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში არაერთი ქალია ჩართული.

დიდი პატივისცემით ვულოცავთ ყველას და განსაკუთრებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ ქალს 8 მარტს და ბედნიერებას და დიდ წარმატებას ვუსურვებთ!

ოსიაურში 1921 წლის 4-6 მარტს გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალი გაიხსნება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1921 წლის 4-6 მარტს ქართულმა არმიამ, დედაქალაქის დატოვების შემდეგ, ბრძოლა გამართა, ღონისძიება მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში აღიმართა ჯვარი და ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის უკვდავსაყოფად დაანონსდა მემორიალის გახსნა. ასევე, აშენდება ტაძარი. სურამის და ხაშურის ეპისკოპოსმა მეუფე სვიმეონმა ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ცერემონიას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან ერთად, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის მეთაური ზაზა შალამბერიძე დაესწრნენ.

1921 წლის 4-6 მარტს, ქართული არმიის მთავარსარდალ კვინიტაძის და გენერლების, მაზნიაშვილისა და სუმბათაშვილის მეთაურობით, წითელი არმიის წინააღმდეგ კონტრშეტევა განხორციელდა. ხაშურში განთავსებული იყო მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა ევალებოდათ იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებს. ოსიაურთან შეტაკებისას 120 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" ანგარიში 2020 წლის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და განეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის, წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მომსახურების, სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის, მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვის პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 1 962 200 ლარი. საიდანაც ხელფასის ფონდი განისაზღვრა 1 107 875 ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების ფონდი - 854 325 ლარით. აღნიშნული პროგრამის შესრულება დაევალა ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს", ხოლო პროგრამის შესრულებაზე მონიტორინგი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს. 2020 წლის აგვისტოს თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, ზემოთ აღნიშნული პროგრამის დაფინანსება შემცირებული იქნა 60 000 ლარით და მთლიანმა დაფინანსებამ შეადგნა 1 902 200 ლარი, საიდანაც დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებისათვის განისაზღვრა -926 000 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გარე განათების ღონისძიებებისათვის - 374 200 ლარი, მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის 275 000ლარი, წყლის სისტემის ზედამხედველობისათვის - 20 000 ლარი, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობაზე 63 000 ლარი, მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და მწვანე ნარგაობების მოვლა-შენახვის ღონისძიებებზე 250 000 ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე 54 000 ლარი. 2020 წელს პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 1 825794,44 ლარი ნაცვლად დაგეგმილი 1 902 200 ლარისა. (-76405,56 ლარით ნაკლები). საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 89227 ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა საბრუნავი საშუალებების შესავსებად და დამტკიცებული პროგრამის შესასრულებლად. პროგრამით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად, კონსოლიდირებული ტენდერით მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 26 ხელშეკრულება თანხით 300 981 ლარი. ჩატარდა 16 ელექტრო ტენდერი მიმდინარე თანხით 434 987 ლარი. მომწოდებლებთა გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 129 ხელშეკრულება თანხით 134 949 ლარის. 2020 წელს ა(ა)ი.პ ხაშურსერვისის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაცემული იქნა 1 029 393,02 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობაზე და ექსპლუატაციაზე გაიხარჯა - 517 739,51 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 361235,8 ლარი, საიდანაც საკუთარი შემოსავლების თანხის ხარჯი შეადგენს - 81 347,82 ლარს. შეძენილი იქნა 138884,1 ლიტრი დიზელის საწვავი თანხით - 252150,52 ლარის, 12089 ლიტრი ბენზინი თანხით – 20964,14 ლარის. 81118 კუბამეტრი ბუნებრივი გაზი თანხით – 96862,03 ლარის. ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისში" შტატით ირიცხება 207 თანამშრომელი. ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისმა" 2020 წელს განსაზღრული პროგრამა წარმატებით განახორციელა, გარდა პროგრამით განსაზღრული სამუშაოების, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა ღონისძიებისა და ფორსმაჟორული სიტუაციის დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში. საკუთარი შემოსავლებიდან შევიძინეთ ხისა და რკინის მასალები, ელექტრო გადამცემი ხაზები და გასანათებელი მოწყობილობები, რომლებითაც ზემო სერის დასასვენებელ პარკში მოეწყო სკამები და დამონტაჟებული იქნა გარე განათების სისტემა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 926 000 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 570 000 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 356 000 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 131 თანამშრომელი. ერთი – მენეჯერი, 4 – სპეციალისტი, 5 – მუშა-ბრიგადირი, 40 – მეეზოვე, 39 – მუშა, 22 – დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 –დამლაგებელი, 14 – მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 663 ცალი კონტეინერი, გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ. ხაშურში იგვება 48100 მ 2, ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2020 წელს ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 87566 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. დასუფთავების მუშებს, ჩვენს მიერ გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თვიური ხელფასი გავუზარდეთ 50 ლარით და ნაცვლად 375 ლარისა ყოველთვიურად ერიცხებათ 425 ლარი. მეეზოვეებსა და დასუფთავების ქვითრის დამრიგებლებს ხელფასი გაეზარდათ 20 ლარით და ნაცვლად 250 ლარისა დაერიცხათ 270 ლარი. ასევე, ხელფასები გავუზარდეთ ნაგავშემკრები ავტომანქანის მძღოლებს ნაცვლად 425 ლარისა გავუზარდეთ 450 ლარამდე. 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა სუფსიდია 872253,78 ლარის ოდენობით, საიდანაც დასუფთავებაზე ხელფასის სახით გაიხარჯა 516630 ლარი, უნიფორმებზე - 7078 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებაზე და ექსპლუატაციაზე გაიხარჯა 376 479,04 ლარი. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფდიისა, დასუფთავების სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნა საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხები .

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვისა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 374 200 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 90 000 ლარს, საქონელი და მომსახურების მუხლში გათვალისწინებულია 284 200 ლარი. გარე განათების მოვლა-შენახვის პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 9 თანამშრომელი: ერთი ინჟინერ-ელექტრიკოსი, ერთი ბრიგადირ-ელექტრიკოსი, ხუთი ელექრტიკოსი და ორი მძღოლი. ასევე ემსახურება ორი სპეცავტომანქანა (ამწეკალათი). 2020 წელს გარე განათებისათვის საჭირო ელექტრო საქონელის შესაძენად ჩატარდა 232683 ლარის. შეძენილი იქნა 11248 ცალი ნათურა და 8800 მეტრი ელექტრო სადენი. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 12 000 ცალი გარე განათების ლამპიონია (სანათია). 2020 წელს, გარე განათების სამუშაოებზე, ხელფასის სახით გაიხარჯა 77 240 ლარი. ტრანსპორტის ტექმომსახურეობაზე და ექსპლუატაციაზე გაიხარჯა 45 480 ლარი. ელექტრო საქონელის შესაძენად გახარჯული იქნა- 246 068 ლარი, საიდანაც საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული თანხა შეადგენს - 19 396 ლარს, 2020 წელს, გარე განათების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულელად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული იქნა 354 235 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან გაიხარჯა - 19 396 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე, 2020 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 275 000 ლარი. შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი - მენეჯერი, ერთი გზის - ინჟინერი, ოთხი - მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ - დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. 2020 წელს, ხელფასის სახით, გაიხარჯა-123 755 ლარი, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა 128 124 ლარი საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 42 403 ლარი . ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეძენილი იქნა -ხრეში - 600 მ 3, 1835 მ 3 ღორღი და რომელიც მთლიანად გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველებზე, 2020 წელს, გამოყოფილი იქნა 20000 ლარი, 2020 წლის დეკემბრის თვიდან 2997 ლარით გაიზარდა წყლის სათავე-ნაგებობაზე დასაქმებული თანამშრომელთა ხელფასის ფონდი. გაზრდილ დანახარჯებზე ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსება არ მიგვიღია და მისი დაფარვა მოვახდინეთ ჩვენი რესურსების გადანაწილების ხარჯზე. 2020 წელს, ხელფასის სახით გაიხარჯა 22450 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლში გაიხარჯა-547 ლარი. სულ გახარჯული იქნა - 22997 ლარი

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის, 2020 წელს, მონიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი იქნა 250 000 ლარი. საიდანაც ხელფასის სახით გაიხარჯა 125 978 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვაზე გაიხარჯა 27705 ლარი. საქონელი და მომსახურების მუხლში გაიხარჯა 8 140 ლარი. სულ გახარჯული იქნა 161 823 ლარი. 2020 წლის აგვისტოს თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ 60 000 ათასი ლარით შეგვიმცირდა დაფინანსება, რის გამოც მოვახდინეთ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსებათა მუხლებში თანხების გადატანა. ქვეყანაში კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემების გამო, რა დროსაც გამოცხადებული იქნა გადაადგილების შეზღუდვები, ვერ მოვახდინეთ ყვავილის ჩითილისა და მწვანე ნარგაობის შეძენა. 2020 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიჭრა 180კბმ დაზიანებული ხეები, რომელიც დაიხერხა და მიღებული შეშა გაიცა სოციალურად დაუცველ 60 ოჯახზე. სატყეო მეურნეობიდან გადმოგვეცა 416 კბმ შეშა, რომელიც განაწილებული იქნა 208 ოჯახს.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ღონინისძიებების პროგრამის შესასრულებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წელს დაამტკიცა 63 000 ლარი. ფაქტობრივად გაიხარჯა 62 852,97 ლარი. მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის პროგრამის შესასრულებაზე დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ორი სპეციალისტი, ერთი – ფერშალ-ლაბორანტი, ორი – ცხოველების დამჭერი კინოლოგი, ერთი –ვეტექიმი, ერთი – ცხოველების მომვლელი, ერთი – მძღოლი. 2020 წელს ცხოველების თავშესაფარში შემოსული იყო 391 ძაღლი 128 ძაღლს ჩაუტარდა მკურნალობა. 23 ძაღლს გაუკეთდა ოპერაცია, 70 ძაღლი დაიღუპა, 36 ძაღლი გავაჩუქეთ, 273 ძაღლი გაშვებული იქნა ბუნებრივ არიელში. სულ შემოსული იყო 227 გამოძახება და ყველა გამოძახებაზე მოხდა ადგილზე გასვლით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2020 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 54 000 ლარი. საიდანაც ხელფასის სახით გაიხარჯა 39770,86 ლარი. ყოველი კვირის სამშაბათსა და პარასკევ დღეს დასუფთავებული სასაფლაოდან (გორათის, ზემოსერისა და ჭალის) ხდება შეგროვილი ნაგავის (დამჭკნარი ყვავილების ხმელი ბალახისა და სხვა ნარჩენების)გატანა ნაგავსაყრელზე. სეზონურად ითიბება სასაფლაოს მისასვლელი და შიდა გზები. მუშა-მესაფლავეებზე წელიწადში საჭიროებისამებრ გაიცემა სამუშაო იარაღები (ბარი,-თოხი, ლაფატკა,წერაქვი,ფოცხი, სასხლავი მაკრატელი და სხვა საჭირო სამეურნეო იარაღი). აგრეთვე ურიგდებათ სპეცტანსაცმელი, ქურთუკი, საწვიმარი ლაბადა, ჟილეტი, სამუშაო ხელთათმანი, რეზინის ყელიანი ჩექმები. 2020 წელს დაფიქსირდა 191 მოცვალებული, გაიჭრა და ამოივსო 91 მიცვალებულის სამარე, სარიტუალო მომსახურეობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 19935 ლარი. 2020 წელს, კორანა ვირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს" არ შეუწყვეტია მუშაობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის 118-119-120 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.

ნ. ცხოვრებაძე, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის" დირექტორი

დედათა და ბავშვთა თავშესაფარი პანდემიით გამოწვეული რეგულაციების სრული დაცვით აგრძელებს ცხოვრებას

2017 წლიდან ხაშურში დედათა და ბავშვთა თავშესაფარი ფუნქციონირებს. 24 საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზანი ჩვილ ბავშთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებაა. თავშესაფარი ბენეფიციარს უსაფრთხო გარემოს, პირ-

ველადი საჭიროებებით დაკმაყოფილებას, პროფესიულ და არაფორმალურ განათლებაში ხელშეწყობას, ფსიქოლოგის მომსახურებასა და სხვა საჭირო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბენეფიტებს სთავაზობს. ამჟამად, ხაშურის დედათა და ბავშვთა თავშესაფარის მომსახურებით 9 ბენეფიციარი სარგებლობს, 4 დედა და 0 - დან 7 წლამდე 5 ბავშვი. მაშინ, როდესაც მსოფლიო პანდემია საფრთხეს უქმნის საზოგადოების თითოეულ წევრს, გამონაკლისი არც თავშესაფარია, რომელთა ფუნქციონირებას, კოვიდ-19-ის პირობებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის შესაბამისი ბრძანება არეგულირებს, რომელიც 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისათვის, მათ შორის დედათა და ბავშვთა თავშესაფრისათვის, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტებს განსაზღვრავს.

დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ლიდერის **გულნაზი ჭიტიაშვილის** ინფორმაციით, დაწესებულებაში ინფექციის პრევენციისა და კონტროლის კოორდინირებული სისტემა მოქმედებს. როგორც თავად განმარტავს, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია კოვიდ-19-თან დაკავშირებული ჰიგიენის, დეზინფექციისა და სანიტარული ნორმების დაცვა. პერსონალი და ბენეფიციარები ფლობენ ინფორმაციას ვირუსის გადაცემის გზებზე, საყურადღებო სიმპტომებზე, შედეგებზე, უსაფრთხოების სტანდარტულ ზომებზე და იცავენ მას. ასევე თავშესაფარში დაწესებულია ვირუსთან დაკავშირებული დისტანცირება და გადაადგილების შეზღუდვა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია კოვიდ - 19-ის შემთხვევების ადრეული გამოვლენა, იზოლაცია და მოვლა.

თავშესაფრის ლიდერი საუბრობს თავშესაფრის პანდემიის პირობებში ფუნქციონირების და იქ არსებული სიტუაციის შესახებ:

- რეგულაციების თანახმად, თავშესაფარში სავალდებულოა ტემპერატურის ყოველდღიური მონიტორინგი როგორც ბენეფიციარების, ისე თავშესაფრის მომსახურე პერსონალისათვის. სავალდებულოა დეზინფექციის ჩატარება და შესაბამისად, დეზინფექციის ჩატარების ჟურნალის რეგულარული წარმოება. რეგულაციები გულისხმობს სველი წერტილების, დეზობარიერების, დამცავი სითხეების და ა. შ. მობილიზებას, შემოწმებას, საერთო სივრცის დეზინფექციას, ოთახების განიავებას. ამ ყველაფერს მონიტორინგს უწევს მორიგე დისახლისი. აწარმოებს ჩანაწერებს. რეგულაციები ითვალისწინებდა, ასევე, მნახველ პირებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. თავშესაფარში ბენეფიციარებთან მომუშავე სხვა სპეციალისტებიც, მათ შორის ფსიქოლოგი, ადრეული განვითარების სპეციალისტი, ორგანიზაციის პროვაიდერი მათთან შეხვედრებს ახორციელებდნენ დისტანციურ რეჟიმში, ონლაინ კონსულტაციებით. ასე, რომ სამუშაო პროცესი არ შეჩერებულა და მიმდინარეობდა შეფერხების გარეშე.

თავშესაფარში ხორციელდება დაწესებულების თანამშრომლებისა და ბენეფიციარების სავალდებულო ტესტირება კოვიდ ინფექციაზე, 2 კვირაში ერთჯერ, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თავშესაფარში ბენეფიციარის ჩარიცხვის წესშიც, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია კოვიდ ვირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების მექანიზმები და ახალი ბენეფიციარი მხოლოდ კოვიდ ტესტირების შემდგომ მიღებული შედეგების გათვალისწინებით ირიცხება თავშესაფარში, რათა საფრთხე არ დაემუქროს იქ მცხოვრებ სხვა ბენეფიციართა ჯანმრთელობას.

- მიუხედავად თავშესაფარში არსებული რეგულაციებისა და პრევენციული ღონისძიებებისა, გქონდათ თუ არა ვირუსის დადასტურებული შემთხვევა?

- თავშესაფარში 23 იანვარს დაფიქსირდა კოვიდ 19-ით დაავადების შემთხვევა. 2 თანამშრომელს და ორ ბენეფიციარს, დედა-შვილს, დაუდასტურდა ვირუსი. დაინფიცირებული თანამშრომლები მყისიერად ჩაანაცვლა ვირუსზე გატეტსტილმა ჯანმრთელმა რეზერვმა თანამშრომელმა. ბენეფიციარები, შესაბამისი პრველადი სავალდებულო სამედიცინო მომსახურების გავლის შემდგომ, გადაყვანილ იყვნენ ქუთაისის კოვიდ სასტუმროში გამოჯანმრთელებამდე. იქიდან გამომდინარე, რომ თავშესაფარში დაფიქსირდა კოვიდ ვირუსი, თანამშრომელთა ოჯახებიც გადავიდნენ თვითიზოლაციაში 2 კვირის განმავლობაში.

- როგორ ხორციელდება დედათა და ბავშვთა თავშესაფრის უზრუნველყოფა სანიტარულ-ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებებით?

- სადეზინფექციო ხსნარებით, პირბადეებით, სამედიცინო ხელთათმანებით პროვაიდერი ორგანიზაცია, საზოგადოება „ბილიკი“ უზრუნველყოფს თავშესაფარს. ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ საჩუქრად გადასცა თავშესაფარს სადეზინფექციო ხსნარები.

- აღმოჩნდა თუ არა პანდემიის მიერ გამოწვეული შეზღუდვები და შედეგები სტრესული თავშესაფრის ბენეფიციართათვის, მით უფრო რომ მომსახურებას უწევთ მცირეწლოვან ბავშვებსაც...

- კოვიდ პანდემიის სტრესულ ფონზე, ცოტა დაძაბულები არიან ჩვენი ბენეფიციარებიც. ამიტომ ბენეფიციარებს ფსიქოლოგი, ნაცვლად ერთი დღისა, კვირაში ორჯერ უწევს მომსახურებას და კონსულტაციებს. თავშესაფარში, პანდემიის პირობებში, მეტად გამახვილდა ყურადღება დედებთან და მათ პატარებთან ინდივიდუალურ მუშაობასა და მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. მათ ვთავაზობთ სამაგიდო თამაშებს, მრავალფეროვან საკითხავ ლიტერატურას და ა.შ. აქტიურად არიან დაკავებულები შვილებთან ურთიერთობითა და მათი განვითარებით. პირადი რესურსებით ვცდილობთ გავუწიოთ მომსახურება ბენეფიციარებს, შევასწავლოთ ხელობა, ხელი შევუწყოთ მათ სოციალიზაციას, მათი უნარ-ჩვევების რეალიზებას, რათა შემდგომ შეძლონ დამოუკიდებლად იზრუნონ შვილებზე და თავიდან იქნას აცილებული მცირეწლოვანთა მიტოვების რისკი.

- უნდა ვივარაუდოთ, რომ 2020 წლის 1 მარტიდან დაწესებულ შეზღუდვების შემსუბუქება თავშესაფარსაც შეეხება...

- ვინაიდან 2021 წლის 1 მარტიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, შემსუბუქდა შეზღუდვები, თავშესაფარიც, რეგულაციების შესაბამისად, გააგრძელებს ფუნქციონირებას და შევამსუბუქებთ შეზღუდვებს. რაც ყველაზე მეტად ალბათ ბენეფიციარების გარეთ გასვლასა და მნახველების მიღებას შეეხება.



დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩემი სტუმრობა პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციების სრული დაცვით განხორციელდა. მიუხედავად შეზღუდული ურთიერთობებისა და რეგულაციებისა, იქ აშკარად იგრძნობა ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო და ოჯახური ურთიერთობების პრიორიტეტულობა. იქ მცხოვრებ პატარებთან დისტანცირებული ურთიერთობაც კი, მხოლოდ პოზიტივს ქმნის და სტუმარში დადებით ემოციებს იწვევს.

დასასრულ, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ყოფილ ბენიფიციარზეც მინდა მოგიყვეთ, რომლის ცხოვრება ხაშურის დედათა და ბავშვთა თავშესაფარმა, მხოლოდ პოზიტივისკენ შეცვალა. ოჯახისაგან უარყოფილმა და სამშობლოდან გამოძევებულმა ემიგრანტმა გოგონამ, რომელმაც მცირეწლოვან, მიტოვების რისკის საფრთხის წინაშე მყოფ შვილთან ერთად მრავალი თვე გაატარა თავშესაფარში, ძალიან მოინდომა და დაწესებულების თანამშრომელთა თანადგომითა და დახმარებით, დღეს დამოუკიდებლად ცხოვრობა შეძლო პატარა შვილთან ერთად. ქართულიც შეისწავლა, ხელობაც, დასაქმებაშიც დაეხმარნენ და საცხოვრისიც მოძიებლ იქნა მისი პატარა ოჯახისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ ხაშურის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, კვლავაც, მრავალ ბენეფიციარს დაეხმარება ოჯახის გაძლიერებაში.

თეა ახალკაცი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2,3,4,5)

მოტანილი ამონარიდიდან, ჟამთააღმწერელი გარკვევით მიუთითებს, რომ ქართველთა ლაშქარი, სარგის ჯაყელის სარდლობით, მტკვრის ხეობაში დადგა, „ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი, და დადგა სურამს.” სურამიდან არღუნმა „წარმოავლინა წინამებრძოლნი მხედარნი ექუსი ათასი”, რომლებიც მივიდნენ ტაშისკართან /ქვიშხეთთან/ და დადგნენ „სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა”. არღუნი კი სურამიდან წამოვიდა და დადგა შინდარას – „არღუნ დადგა შინდარას”.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ჟამთააღმწერელი ლაპარაკობს მხოლოდ შინდარაზე, აქ არ ჩანს, რომ იგი გორისაა.

მაგრამ, მაშინ, როდესაც სარგის ჯაყელმა „წარავლინნა წინამბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა შინა ათას ხუთასი მხედარი”, რომლებმაც ხეობიდან გასვლისას „წინამავალნი იხილეს რაზმი თათართა” და ბრძოლა მოხდა შოლისპირზე, სადაც ქართველებმა დაამარცხეს მონღოლები – „პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი, და მოსწყვიდნეს მრავალნი სახელოვანნი”, გადარჩენილი მონღოლები „მცირედნიღა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შ ი ნ დ ა რ ა ს გ ო რ ი ს ა ს ა”/ ხაზი ჩვენია – თ.ლ/.

აქ უკვე ჟამთააღმწერელი ლაპარაკობს „შინდარას გორისასა” – ზე.

ამრიგად, პირველ შემთხვევაში, ლაპარაკია მხოლოდ შინდარაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში „შინდარას გორისასა”-ზე.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არღუნი სურამში დადგა, საიდანაც 6.000 წინამებრძოლი მხედარი გააგზავნა მტკვრის ხეობისაკენ. ამის შემდეგ, იგი არამც და არამც არ წავიდოდა გორის შინდარაში. (იხ. ზემოთ) ამიტომ ვთვლით, რომ იგი დადგა შინდარაში, რომელიც სურამთან ახლოს მდებარეობს და არც მტკვრის ხეობიდანაა შორს.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: ვ. ბატონიშვილი სურამის მდებარეობის განსაზღვრის დროს წერს: „... შინდარას დასავლეთით არს სურამი, მცირე ქალაქი”.

მკვლევარები შეცდომაში შეჰყავს ჟამთაღმწერელის განცხადებას, იმის შესახებ, რომ ქართველთა და მონღოლთა პირველი შებრძოლების შემდეგ, დამარცხებული მონღოლები „შეიხუეწნენ რაზმსა შინა არღუნისას შინდარას გორისასა”.

რას გულისხმობს ჟამთაღმწერელი „შინდარას გორისასა”-ში? როგორ უნდა გავიგოთ ჟამთაღმწერელის ეს სიტყვები?

„შინდარას გორისასა”-ში იგი გულისხმობს შინდარას გორას და არა გორის შინდარას და ჩვენც ასე უნდა ვიგულისხმოთ.

მართლაც, ასეთი გორა, რომელსაც მოსახლეობა გორათს ეძახის, არის შინდარასთან ახლოს, მის დასავლეთით. იგი ძველი ნამოსახლარიც არის. ამ გორადან იშლება ქვიშხეთის სანახები, მისი ველი მტკვრის ხეობამდე. ცხადია, არღუნისათვის სამხედრო–სტრატეგიული თვალსაზრისით, ხელსაყრელი იქნებოდა ასეთ ადგილზე დაბანაკება და არა შორს, დიდი მანძილით დაშორებულ გორის შინდარაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ გადმოცემით დასტურდება, რომ აქ, დღევანდელი იმერეთის ქუჩაზე, ბორჯომისა და ბათუმის სარკინიგზო ხიდებს შუა მდგარა მეორე გორაც, რომელიც გზის გაყვანის დროს აუღიათ.

საკითხი, რომ ბოლომდე გარკვეული იყოს და დაეჭვებას არ იწვევდეს, მოვიტანთ ისევ ჟამთააღმწერლის სიტყვებს: როცა პირველი შეტაკების დროს მონღოლები დამარცხდნენ და უკუიქცნენ, ქართველებმა ისინი „სდევნეს და მოსწყვიდნეს პირთა მახვილისათა, რამეთუ მხედართ-მთავარი სარგის და სპა მეფისა ველარ მოილოდინეს, ამისთვის რომელ თათართა რაზმი მახლობლად მდგომარე იყო. და ესრეთ ძლევითა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მიეგებნეს სარგისს და ლაშქართა”.

ე.ი. ქართველთა მცირერიცხოვანმა მეწინავე ლაშქარმა „სდევნეს და მოსწყვიდნეს” მონღოლები, მაგრამ რადგან ისინი საკმაოდ დიდი მანძილით დაშორდნენ ძირითად ლაშქარს და მონღოლებიც „მახლობლად მდგომარე იყო”, უკან გაბრუნდნენ.

ჟამთააღმწერელი გარკვევით აცხადებს, რომ ბრძოლის ველიდან „თათართა რაზმი მახლობლად მდგომარე იყო”. ბრძოლა ხდება შოლისპირთან, ქართველები სდევნიან დამარცხებულ მონღოლებს ქვიშხეთის ველზე, იქვე, ველის ბოლოს, არის შინდარა და შინდარას გორა, სადაც არღუნი დგას. ჟამთააღმწერელი, არღუნი რომ გორის შინდარაში მდგარიყო, ვერ იტყოდა, რომ „თათართა რაზმი მახლობლად მდგომარე იყო”.

მაშასადამე, არღუნი დგას არა გორის, არამედ ხაშურის შინდარაში. მეორე ბრძოლაც აქვე ხდება შინდარასა და დღევანდელი ხაშურის სანახებში.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.

სარგის ჯაყელისა და არღუნის მეწინავე რაზმებს შორის ბრძოლა მოხდა შოლისპირზე, ქვიშხეთთან ახლოს. რიცხობრივი უპირატესობა მონღოლთა მხარეზე იყო, მაგრამ ქართველებმა გაიმარჯვეს და სარგისთან თათრების მოკვეთილი თავებით დაბრუნდნენ.

სარგის ჯაყელი, თავისი მცირერიცხოვანი ლაშქრით, მტკვრის ხეობიდან გამოვიდა და მონღოლებზე პირდაპირ იერიშის მიტანა გადაწყვიტა. ჟამთააღმწერლის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „იქმნა ძლიერი ომი”. პირველ ხანებში ქართველთა უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ შემდეგ მონღოლებმა მათთვის ჩვეულ ხერხს მიმართეს, ბრძოლოს ველიდან უკუიქცნენ, ქართველები მათ დაედევნენ. როდესაც მონღოლები თავიანთ ჩასაფრებულ ლაშქარს გასცდნენ, უკან მოუბრუნდნენ ქართველებს, რომლებსაც ახლა ორმხრივ უხდებოდათ ბრძოლა. მიუხედავად ქართველთა თავგანწირული ბრძოლისა, ისინი დამარცხდნენ. სარგისმა მცირე ამალით დააღწია ბრძოლის ველს თავი და აწყურში მივიდა მეფესთან. გამარჯვებული არღუნი კი უკან გაბრუნდა.

ივ. ჯავახიშვილი სარგის ჯაყელის დამარცხების მიზეზად თვლის მის მიერ დაშვებულ შეცდომას. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ „ძალთა ასეთ უთანასწორობაში ერთადერთ მიზანშეწონილ მოქმედებად შესაძლებელია ტაშისკარის იწროებში გამაგრება და მტრის იქ შეტყუებით გაწყვეტა ყოფილიყო მიჩნეული. სარგის ჯაყელმა – კი რატომღაც მონღოლთა მრავალრიცხოვან ლაშქარზე იერიშის მიტანა გადაწყვიტა და მტერთან შესაბრძოლებლად და მოწინააღმდეგის დასახვედრად, ისეთი მარჯვე ადგილის მაგიერ, როგორიც ზემოთ დასახელებული იწროებია, ქართლის გაშლილი ველი აირჩია. ეს დიდი შეცდომა იყო... და სარგის ჯაყელი თავისივე ამ მცდარი სამხედრო გეგმის გამო, აჯანყებულთა ჯართითურთ, რა თქმა უნდა, დამარცხდა”.

ამრიგად, 1260 წლის დეკემბერში, აჯანყებულ ქართველებსა და მონღოლებს შორის ბრძოლა მოხდა დღევანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, პირველი ბრძოლა ქვიშხეთთან, მდ. შოლის სანაპიროზე, ხოლო მეორე შინდარაში. ბრძოლის ადგილად სხვა ადგილის მიჩნევა უნდა გამოირიცხოს და ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხელდასამუდამოდ უნდა გასწორდეს უნებლიედ დაშვებული შეცდომა.

თუმცა, სულ ახლახანს, 2002 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის X კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები მ. ვაჩნაძე, ვ. გურულუ, ვ. ბახტაძე) აღნიშნული ბრძოლის ადგილად ახალი ადგილი სახელდება. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „გადამწყვეტი ბრძოლა დავით VII-სა და მონღოლებს შორის აწყურში მოხდა”. იგივე სახელმძღვანელოში 2003 წლის გამოცემაში კი საერთოდ არ არის მითითებული ბრძოლის ადგილი.

გორათი მდებარეობს ხაშურის დასავლეთით. მისი სახელწოდება მომდინარეობს აქ ბუნებრივად არსებული გორიდან: როგორც გადმოგვცემენ, აქ კიდევ ერთი გორა იდგა, რომელიც გზის მშენებლობის დროს მოიშალა. იგი ძველი დასახლებული პუნქტია /სოფელია/, რომელიც შინდარასთან ერთად ჯერ კიდევ, როგორც ზემოთ დავინახეთ, XIII საუკუნეში უკვე არსებობს ჟამთააღმწერელის „შინდარის გორისასაში” სწორედ ეს, დღევანდელი გორათი უნდა მოიაზრებოდეს.

მომდევნო საუკუნეების საბუთში გვხვდებიან გორათელები. ასე მაგალითად, 1688 წლის ერთ საბუთში შინდარლებთან და სურამლებთან ერთად მოწმეებად მოიხსენიებიან გორაელნი, იგივე გორათელები. ასევე, ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილ ერეკლე I ნაზარალიხანის 1700 წლის ბრძანებაში ხაშურლებთან კვლავ მოიხსენიებიან „გორაელნი” ანუ იგივე გორათელები. აქ არსებული გორა, რომელსაც დღეს მოსახლეობა ძველი სოფლის სახელწოდებით – გორათით მოიხსენიებს, ძველი ნამოსახლარია. იგი მდებარეობს ბორჯომისა და ბათუმის სარკინიგზო ხაზის განშტოებებს შორის.

გაზეთი „ივერია“ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის გორათზე არქეოლოგიური აღმოჩენების შესაებ. კერძოდ, როდესაც 1893-1894 წლებში ხაშურსა და ბორჯომს შორის მიმდინარეობდა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა გორათის მიდამოებში არაერთი საინტერესო და საყურადღებო არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილა.

ხაშურის კულტურის განყოფიელების გამგის, აწ განსვენებულ ბატონ კარლო ნადირაძის ცნობით ამავე ტერიტორიაზე, კერძოდ საქვაჭრობის ყოფილი საწყობების მშენებლობის დროს, გასული საუკუნის 60-იან წლებში, აღმოჩენილია კერამიკული მასალა, რომელიც ინახებოდა იტრიის სკოლაში, სადაც მაშინ თავად მუშაობდა დირექტორად.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ხელთ არცერთი არქეოლოგიური ნივთი არ არის. არქეოლოგიური თვალსაზრისით ასევე გაფუჭებულია გორათის გორანამოსახლარი, სადაც ამ საუკუნის 20-იანი წლებიდან სასაფლაო არის მოწყობილი

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით გორათში შემდეგი გვარის საეკლესიო ყმა გლეხები ცხოვრობდნენ:

„ქ. ნათიშვილი ონოფრე: საწირავი აძეს;
„ქ. ნათიშვილი პაპუნა: საწირავი აძეს;
„ქ. ღონენაშვილი პაატა;
„ქ. ზაზუტაშვილი ქიტია;”

გორათი დაფიქსირებულია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში. ამ დროს აქ 18 კომლი მოსახლე არის:

ადამ ძე გიორგი აზნაურისა	ბერუა ძე ნასყიდასი;
დავით ძმა მისი	ხოსია ძმა მისი;
სეხნია ძე არგითასი	ელიზბარ ძმა მისი;
კათია ძე მისი	ზურაბ ძე ბაბუნისა;
ბაბუნა ძე ივანესი	ბირა ძმა მისი;
თამაზა ძმა მისი	ბათა ძე კოჩინასი;
ნასყიდა ძე ბერუკასი	კირმან ძმა მისი;
ბერი ძე ბურკარასი	ქეთესია ძე კადილისა;
ნასყიდა ძმა მისი	ნასყიდა ძე ბაჩუასი.

აღწერის თანახმად, მიწის დღიური მფლობელია 20, სამეუფეო ველის დღიური მფლობელი – 2, ხოლო სამეუფეო ვენახის დღიური მფლობელი ასევე 2.

გორათელებს შემდეგი ოსმალური გადასახადები ჰქონდათ შეწერილი:

ისფენჯი კაცი 18, ახჩა 2160;
ხორბალი ქილა 100, ახჩა 2000;
ქერი ქილა 60, ახჩა 900;
ჭვავი ქილა 30, ახჩა 450;
ფეტვი ქილა, ახჩა 600;
უშრის გადასახადი ვენახზე, დონუმი 50 თითოეულს 40, ახჩა 2000;
გადასახადი ერბოზე 120;
გადასახადი სკაზე 90;
გადასახადი ცხვარზე 290;
არუსანეს გადასახადი 120;
დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 120;
გადასახადი ღორზე 120;
წისქვილი თვალი 1, სრული წლით გადასახადი 120;
ყველაფერი ამის ღირებულება იყო 9590 ახჩა.

ვახუშტი ბატონიშვილს რუკაზე დატანილი აქვს გორათი, როგორც დაბა. აგრეთვე, იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში” XVIII საუკუნის ბოლოს აფიქსირებს გორათს, როგორც მოსახელე სოფელს.

როგორც სხვადასხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, გორათში მამულები ეკუთვნოდათ ჩხეიძეებს, მურვანიშვილებს, ხიდირბეგიშვილებს.

გორათის დასავლეთით მდებარეობს ვეფხვაძეების უბანი. ეს დასახლება XIX საუკუნეში გაჩნდა ხარაგაულის რაიონის სოფელ ვეფხვაძეების გვარის გადმოსვლის შემდეგ.

ზემო ჭალა. უძველესი სოფელია. ყოველშემთხვევისთვის, იგი რომ XVIII საუკუნისთვის უკვე არსებობდა, ამაზე არაერთი ისტორიული დოკუმენტი მიგვანიშნებს. იგი დღეს ხაშურის ერთ-ერთი უბანია და ჭალისუბნად იწოდება.

სოფლის სახელწოდება მომდინარეობს იმ ჭალიდან, რომელიც სურამის ჭალად იწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ სურამის წყალი „გამოდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკუარს, ოსიაურს ზეით, აქ არის ჭალა სურამისა, მტკუარის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე.”

სურამის ჭალა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიას მოიცავდა იგი იწყებოდა აღმოსავლეთიდან-დადაღალულიდან) სოფელი იყო გომთან ახლოს და გრძელდებოდა ქვიშხეთამდე-მდინარე შოლამდე. ამ ჭალის თითქმის ცენტრში აღმოცენებულ დასახლებულ ადგილას ეწოდა ზემო ჭალა. სახელწოდება ზემო იმაზე მიგვინიშნებს, რომ ქვემო ჭალაც უნდა ყოფილიყო. ეს ქვემო ჭალაც უნდა ყოფილიყო. ეს ქვემო ჭალა კასპის რაიონში მდებარეობს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

შიდა ქართლის რწმუნებული მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთსა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში იმყოფებოდა, მოსახლეობას შეხვდა და მათი საჭიროებები მოისმინა. ასევე, შეხვედრას რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ადგილობრივებმა იმ საკითხების შესახებ ისაუბრეს,რაც სოფლისთვის პრიორიტეტულია. მათი თქმით, აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევთ, მათი ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიონ განსახორციელებელი პროექტი. როგორც ქვიშხეთის, ისე ჩორჩანას მოსახლეობის გად-

აწყვეტილებით, მიმდინარე წელს ორივე სოფელში სანიაღვრე სისტემები მოეწყობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, რეგიონში ყოველდღიურად მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები. დღევანდელი შეხვედრის ფარგლებში ქვიშხეთსა და ჩორჩნაში სანიაღვრე სისტემები მოეწყობა. პროგრამის უპირატესობა იმაშია, რომ მოსახლეობა თავად არის გადაწყვეტილების მიმღები, ეს კი მნიშვნელოვნად აძლიერებს თვითმმართველობის პროცესს” - აღნიშნა რწმუნებულმა. „ჩორჩანა საოკუპაციო

ხაზთან მდებარე სოფელია და ადგილობრივებს ჩვენი განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ. რაც შეეხება ქვიშხეთს, იგი რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ზო-

ნაა, რომელსაც განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს. სულ ცოტა ხნის წინ, აქ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ახალი სასტუმრო გაიხსნა, რაც მნიშვნელოვანი შენაძენია რეგიონისთვის” - აღნიშნა მხარის რწმუნებულმა.

მიულოცეს დედის დღე

ხაშურის მუნიციპალიტეტში, კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ, ყველაზე ასაკიან და მარტოხელა დედებს, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს დედებს, მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა პირებმა, დედის დღე – 3 მარტი მიულოცეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ-



მა ზვიად ქურდაძემ, მერის თანაშემწემ მერაბ ბარბაქაძემ, ადგილებზე მერის რწმუნებულებმა და კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა, ქალბატონებს, თაიგულები, ტკბილეული გადასცეს და ბედნიერი დედობა უსურვეს.

ადნიშნული ღონისძიება, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ყოველწლიურად იმართება და მისი ორგანიზატორი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია.

ზაფხული ძალაში შედის, თუმცა ზამთარი კიდევ გვახსენებს თავს.
ხაშურის ცენტრი ამ დღეებში.
გოგა სადუნაშვილის ფოტო

შიდა ქართლში გავრცელებული მეტსახელები

შიდა ქართლში გავრცელებული მეტსახელების ორ ნაწილს ჩვენი მკითხველი გასულ წელს გაეცნო. ვფიქრობთ, რომ ეს სახელები არაფრით ჩამოუვარდება კახურ „შედევრებს“ და ამაში მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება.

კოსტარიკა ელგუჯა-ბაბუას კოსტა ერქვა,რიკაძეები არიან და მთელ ოჯახს კოსტარიკები ჰქვიათ;

კალმახა ბონდო-ორივე ლოყაზე ჭორფლი წითელ წინწკლებად აყრია;

კარლო ვალიკო-დურგალია, შვილიშვილს ხის თოჯინა გამოუთალა და სფელმა უმალ მოუძებნა მამილო კარლოს სახელი;

ევერესტა გოგია-ორი მეტრია სიმაღლეში;

ჯოკონდა ლიზიკო-ლიზა ხომ ჰქვია, ქმრის ნებისმიერი სურვილების თუ ბრძანების უსიტყვო შემსრულებელია-მონა ლიზაა, რა...

ადოლფა რეზო-ჰიტლერივით ულვაშებს ატარებს;

ნიუვი ალიოშა-სამჯერ მოიხადა ბოტკინი და ყვითელი ფერი სახეზე დღემდე შერჩა;

სამოცდაცხრა ელიკო-160 კილოგრამია, სიმაღლე და სიგანე ერთი აქვს, გინდ შეატრიალე, გინდ შემოატრიალე, მაინც სამოცდაცხრას მიიღებ;

ტკაცუნა ელდარი—ძვლების უცნაური “დაავადება” აქვს, რომ დადის ძვლებს სულ ტკაცა-ტკუცი გაუდის;

ჯვარცმული შაქრო-ოცი წლის წინ დააყაჩაღეს, შემდეგ პირი აუკრეს და ხეზე მითოკეს;

ფისო-ფისო ვანო-იმდენად შავია (ყავისფერი), რომ “ფისო-ფისო” კანფეტს შეადარეს;

მუდმივი ლამარა-ეს სახელი ათი წლის წინ შეარქვეს, დღეს 107 წლისაა;

კიმასურიძე ნორა-ხომასურიძეა, მაგრამ “ხო” უზრდელად ნათქვამიაო სოფელმა და კიმასურიძე დაარქვეს;

ბრმანაწლავი გივი-როგორც ბრმანაწლავია ზედმეტი და მავნე ორგანო სხეულისთვის, ისეა გივი სოფლისთვის, მავნე და ღჯუ;

დავით სოსლანი ზალიკო-ცოლს თამარი ჰქვია, შვილებს კი ლაშა და რუსუდანი;

ჰაუ-ჰაუ მერაბა-რომ დათვრება, თუ ვინმესთან მიეხეტა, თუ არ დაუქშიეს, წამსვლელი აღარაა;

ეთნოგრაფი შალვა-ოთხი გოგო ჰყავს, ოთხივე გაათხოვა. ერთი სიძე სომეხია, მეორე დაღესტნელი, მესამე თურქი და მეოთხე-უკრაინელი;

ედელვაისი ხათუნა-შავია, უზარმაზარი ცხვირით და გადმოკარკლული თვალებით;

ცისარტყელა ვასო-ბევრი სმისგან ცხვირი წითელი აქვს,ლოყები შავ-ლურჯი, ნიკაპი მომწვანო-ნაცრისფერი და თმები თეთრი;

ამირანი შოთა-რომ დათვრება, ძალიან მღელვარეა და ჯაჭვით აბამენ. არსაკიძე გურგენა-ლაცაბიძეა, მაგრამ ცალი ხელი არ აქვს და არსაკიძე დაარქვეს.

დრაკონა ლაურა - სამი სიძე ჰყავდა და სამივე დაეღუპა, სოფელმა ჩათვალა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ სამივე სიძე სიდედრმა ლაურამ „შეჭამა“.

ჩერნო გივი - როცა სვამს, ოჯახში ისეთ „აფეთქებებს“ აწყობს ჩერნობილის აფეთქება იმასთან არაფერია.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ როინ კურტანიძეს ძმის
პაატას გარდაცვალების გამო.

D ა(ა) იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები ჯემალ გელაშვილი, ავთანდილ გოგალაძე და თინა ახალკაცი თანაუგრძნობენ როინ კურტანიძეს ძმის
პაატას გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.